

2024
წლის ფინანსური ანგარიშგება

შპს კუზანოვ დენტი

სარჩევი:

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება -----3

საქმიანობის შედეგების ანგარიშგება-----4

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება -----5

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები ----- 6-14

შპს „კუზანოვ დენტი“ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრისათვის

ფინანსური მდგომარეობა	შენიშვნები	31/12/2024	31/12/2023
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1	332780	107972
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		0	5107
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები		0	10772
მარაგები	-	98903	44398
მზა პროდუქცია			
სხვა		98903	44398
სხვა მოკლევადიანი აქტივები		1902	1300
სხვა არამატერიალური აქტივები			
ძირითადი საშუალებები	2	1670028	1171874
სულ აქტივები		2103613	1341423
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება			
სავაჭრო ვალდებულებები	3	82347	34763
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ			
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	4	146214	250860
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	4	445968	0
სხვა ვალდებულებები			
სულ ვალდებულებები		674529	285623
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')		68000	68000
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		1361084	987800
სულ საკუთარი კაპიტალი	-	1429084	1055800
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	-	2103613	1341423

დირექტორი

მთ. ბუღალტერი

შპს „კუზანოვ დენტი“

2024 წ 31 დეკემბრის დასრულებული წლის

სრული შემოსავლებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

საქმიანობის შედეგები	შენიშვნები	31/12/2024	31/12/2023
ნეტო ამონაგები	-	<u>2706386</u>	<u>2237099</u>
საქონლის გაყიდვიდან			
მომსახურების გაწევიდან		2706386	2237099
გაყიდვების თვითღირებულება		-592775	-583829
საერთო მოგება		2113611	1653270
სხვა საოპერაციო შემოსავალი		7611	0
დასაქმებულთა ანაზღაურება		-1430282	-1224324
ცვთა / ამორტიზაციის ხარჯი		-154564	-121495
საპროცენტო ხარჯი		-4071	-3604
იჯარის ხარჯი		-21656	-21656
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი		-137623	-155605
სულ საოპერაციო ხარჯები	-	<u>-1740585</u>	<u>-1526684</u>
საოპერაციო მოგება		373026	126586
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან			
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)		258	981
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	-	373284	127567
მოგების გადასახადის ხარჯი			
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	-	<u>373284</u>	<u>127567</u>
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში		1055800	928233
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)			
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	-	1429084	1055800

დირექტორი

მთ. ბუღალტერი

შპს „კუზანოვ დენტი“
2024 წლის 31 დეკემბრისათვის საკუთარი კაპიტალის
ცვლილებების ანგარიშგება

(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2023 წლის 31 დეკემბერი	68000	987800	1,055,800
წმინდა მოგება		373284	
სხვა სრული შემოსავალი	-		-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	373284	
გაცემული დივიდენდი	-	-	
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	-
2024 წლის 31 დეკემბერი	68,000	1,361,084	1,429,084

დირექტორი
 მთ. ბუღალტერი

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „კუზანოვის დენტი“ (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2008 წლის 16 ივლისს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად . კომპანია დარეგისტრირებულია დარეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 206333118. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, ქეთევან წამებულის ქ.53ა ბინა #9; ხოლო ფაქტიური მისამართია: ქ. თბილისი პავლე ასლანიძის ქ.14.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ფართო პროფილის სტომატოლოგიური საქმიანობა.

2024 წლის 31 დეკემბრისთვის და 1 იანვრისთვის კომპანიის წილის მფლობელები არიან:

- 60% - ივანე კუზანოვი ;
- 40% - რობერტ აგამირიანი.

კომპანიის დირექტორია სოფიო ყაზახაშვილი.

კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის და 1 იანვრისთვის შეადგენს 68000 ლარს.

2024 წლის წლის განმავლობაში კლინიკაში დასაქმებულთა პერსონალთა საშუალო რაოდენობამ შედგინა 30.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძველები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დარიცხვის მეთოდით, საწარმო აკმაყოფილებს ფუნქციონირებადი საწარმოს მოთხოვნებს;

მსს ფასს სტანდარტების პირველადი გამოყენება

კომპანია მსს ფასს სტანდარტებზე გადავიდა 2018 წლის 1 იანვარს. კომპანია წარადგენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2024 წლის 1 იანვრის და 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე 2024 წლის საქმიანობის შედეგების ანგარიშგებას და 2024 წლის კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგებას, ასევე შესაბამის ახსნა განმარტებით შენიშვნებს.

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

(ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

(ბ) ტრანზაქციები და ბალანსი

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლით კურსით ბალანსის შედგენის დღისთვის. მოგება და ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან ოპერაციების ანაზღაურებისას და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციისას წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით აღიარებულია მოგებად ან ზარალად. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს.

2024 წლის 31 დეკემბერს და 2023 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

პერიოდი	დოლარი	ევრო
კურსი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8068	2.9306
კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2,6894	2,9753

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები:

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულია ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკები ეხება წარდგენილ ყველა წელს, თუ განსხვავებული არ არის განცხადებული.

ტერმინების განმარტებები:

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

სავაჭრო მოთხოვნები და გაცემული სესხები

რეალიზაცია, ძირითადად,
ხორციელდება ჩვეულებრივისაკრედიტოპირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტ
იარერიცხება. იმ შემთხვევაში,
როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს,
მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტურის პროცენტო განაკვეთით.
თითქმის ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა
მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური
მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების
არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან
ზარალში.

მარაგები

მარაგები საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა
და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს
შემძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და
დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა
პირდაპირი ხარჯები.
მარაგების თვითღირებულება გამოითვლება FIFO მეთოდით.

ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება
ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით.
თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან
დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე
როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ
დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.
იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული
ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება
ინდივიდუალურად.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ა) შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ბ) ცვეთა

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის მიხედვით;

ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები კატეგორიების მიხედვით:

ძირითადი საშუალების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები)
მიწა	უვადო
სამედიცინო აპარატურა და სამედიცინო დამხმარე ინვენტარი	10
ოფისის აღჭურვილობა	5
სამედიცინო ინსტრუმენტი და დამხმარე სხვა ინვენტარი	4
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	6
არამატერიალური აქტივები	0
სატრანსპორტოსაშუალებები	7

არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალურ აქტივებს წარმოადგენენ სააღრიცხვო პროგრამები არამატერიალური აქტივები თავდაპირველად აღიარებულია თვითღირებულებით.

აქტივების გადაფასება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივებისა გატესტვა გაუფასურებაზე, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება აქტივის საბალანსო ღირებულება, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

გადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადაფარული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ როდესაც, არის კანონიერი უფლება, რომ აგრეგირდეს აღიარებული თანხები და არის განზრახვა წარდგენილ იქნეს ნეტო თანხით ან გაიყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

დაბეგვრა

საგადასახადო ხარჯი შედგება პერიოდის მიმდინარე გადასახადისგან.

კომპანიის მიმდინარე გადასახადი გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდგება, როგორც საგადასახადო აქტივები.

ამონაგების აღიარება

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, და ასევე, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო

მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს. ეს კრიტერიუმები ჩაითვლება დაკმაყოფილებულად, როდესაც პროდუქცია გადაეცემა მყიდველს.

თუ ამონაგები უკვე ასახულია და ამის შემდეგ საექვო გახდა თანხის მიღება, ამოსაღები თანხა აისახება როგორც ხარჯი და არა როგორც თავდაპირველად აღიარებული ამონაგების თანხის კორექტირება.

ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან.

მოგება—ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვიტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

სახელფასო განაცემები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და

შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწუმენება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

შენიშვნა1 - ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები			
		2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
ლარში			
ფული სალაროში		190	138
ფული საბანკო ანგარიშებზე	ეროვნულ ვალუტაში	51,560	107,226
ფული საბანკო ანგარიშებზე	უცხოურ ვალუტაში	281,030	608
სულ ჯამი		332,780	107,972

შენიშვნა 2

კუზანოვ დენტი	ძირითადი საშუალებები																			
	2024 წ. პერიოდის საწყისი მონაცემები				პერიოდში განხორციელებული ცვლილებები												2024 წ. პერიოდის ბოლოს მონაცემები			
					შემოსავალი				გასავალი				ცვეთა							
დასახელება	რაოდენობა	ლირებუ	აკუმულირებული	ნარჩენი	რაოდენობა	ლირებუ	აკუმულირებული	ნარჩენი	რაოდენობა	ლირებუ	აკუმულირებული	ნარჩენი	გაყიდვის	მიმდინარე	რაოდენობა	ლირებუ	აკუმულირებული	ნარჩენი	ლირებუ	
შენიშვნა ნაგებობა (კლინიკა)		993743	198002	795741										14979		993743	212981	780762		
შენიშვნა ნაგებობა				0										1399		531909.2	1399	530510		
სამედიცინო აპარატურა და სამედიცინო დამხმარე ინვენტარი		630723	326451	304272		115381								118294		746104	444745	301359		
ოფისის აღჭურვილობა		66067	38956	27111		430								9767		66497	48722.62	17774		
ელექტრონული მოწყობილობა		81419	49346	32073										6101		81419	55447	25972		
კომპიუტერები		20424	11185	9239		650								3414		21074	14599.18	6475		
სხვა		34914	31477	3437		4349								611		39263.1	32087.55	7176		
ამური მონაცემი		1827290	655417	1171873		0	652719	0	0	0	0	0	0	154564	0	2480009	809981	1670028		

შენიშვნა 3 -სავაჭრო ვალდებულებები			
ლარში		2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო ვალდებულებები		82347	34763
სულ ჯამი		82,347	34,763

შენიშვნა4 - სესხები		
	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები - დამფუძნებლებისაგან	146214	250860
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები - საბანკო	445968	0
სულ ჯამი	592,182	250,860

პირობითი ვალდებულება

კომპანიის წინააღმდეგ სარჩელის წარმოება არ მიმდინარეობს;
საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მოვლენებს ადგილი არ ქონია;

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცებულია 2025 წლის 30 სექტემბერს.

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი